საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01- 12/96

ქ. ბათუმი 15 ივლისი, 2022 წ.

ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 29 ივნისის N01-10/71 ბრძანებისა და ,,ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 12 ივლისის N01-10/75 ბრძანების, ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 14 ივნისის N642293 სამსახურებრივი ბარათის, საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 29 ივნისის N01-10/71 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში 2022 წლის 18 ივლისიდან 18 აგვისტომდე დაინიშნონ სტაჟიორებად (ანაზღაურების გარეშე) შემდეგი პირები:

ა) მაგდა ხალვაში - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი;

ბ) მარიამ წულუკიძე - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი;

გ) მეგი ჩაქურიძე - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი;

დ) მეგი გორაძე - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი.

2. სტაჟიორების სამუშაო განრიგი და ცვლაში მუშაობის რიგითობა განისაზღვროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ.

3. სტაჟიორთა ხელმძღვანელად დაინიშნოს ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ჟანა ჯიბლაძე.

4. ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს დაევალოს არაუგვიანეს 2022 წლის 17 აგვისტოსა წარმოადგინოს სტაჟიორების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და სტაჟიორებს.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ი. ჩხარტიშვილი